www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2018

II კვარტალი

24.09.2018

www.geostat.ge

24.09.2018

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში
2018 წლის II კვარტალი

მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა კვარტალთან შედარებით** გაიზარდა 4,3 პროცენტით. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო სამეწარმეო სფეროში მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 13,9 პროცენტიანი მომატებით, რამაც 3,53 პროცენტული პუნქტით მოახდინა ზეგავლენა მთლიან ინდექსზე. აღნიშნულ პერიოდში ფასები 1,3 პროცენტით გაიზარდა სამშენებლო მასალებზე, ხოლო 0,5 პროცენტით - ტრანსპორტირებაზე, საწვავსა და ელექტროენერგიაზე.

წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 1,8 პროცენტით. ინდექსის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო სამშენებლო მასალებზე ფასების 7,5 პროცენტიანი ზრდით, რაც 4,01 პროცენტული პუნქტით აისახა ინდექსის წლიურ ზრდაზე. ამავე პერიოდში დაფიქსირდა 8,1 პროცენტიანი კლება მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ჯგუფზე, რაც -2,4 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის მეორე კვარტალში მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა კვარტალთან და წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების შესაბამისი წვლილები:

	2018 წლის I კვარტალთან	წვლილი*კვარტალის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2017 წლის II კვარტალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
სულ	**104.3**	**4.26**	**101.8**	**1.82**
სამშენებლო მასალები	101.3	0.76	107.5	4.01
ხელფასები	113.9	3.53	91.9	-2.40
მანქანა-დანადგარები	100.3	0.01	99.0	-0.04
ტრანსპორტირება,საწვავი, ელექტროენერგია	100.5	0.01	105.4	0.06
სხვა ხარჯი	99.4	-0.05	102.4	0.19

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge